პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 245 (19686) შაბათი, 25 ოქტომბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 23 ოქტომბერს გამართულ სხდომაზე განიხილა ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ასათვისებლად კადრების მომზადებისა და გადამზადების საკითხი. აღინიშნა, რომ საზოგადოების განვითარების დაჩქარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე დაბჯენითებით მოითხოვს განვახორციელოთ კარდინალური ღონისძიებანი, რომლებიც მისი დროული საკადრო უზრუნველყოფის გარანტიას იძლევა. ამისათვის საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ კვალიფიციურ მუშაკთა მომზადება უსწრებდეს ახალი წარმოებების შექმნას. აგრეთვე მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციასა და ხელახალ აღჭურვას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში ამ საკითხზე განსაზღვრულია ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დარგში კადრების მომზადების და გადამზადების დაგეგმვისა და ორგანიზაციის არსებითი გაუმჯობესების, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების მეთოდების სრულყოფის ღონისძიებანი. კადრების გადამზადება უნდა განხორციელდეს უმაღლეს სასწავლებლებთან შექმნილ სპეციალურ ფაკულტეტებზე, ხოლო საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტთა გადამზადება — წამყვან ტექნიკუმებთან შექმნილ სპეციალურ განყოფილებებზე. ფართოვდება ქვეყნის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებთან კვალიფიკაციის ამაღლების დარგთშორისი ინსტიტუტების შექმნის პრაქტიკა. მოწინავე საწარმოებთან არსებული მთელი რიგი სასწავლო-საკურსო კომბინატები გარდაიქმნება მუდმივმოქმედ სასწავლო ცენტრებად. მოწინავე საწარმოო გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ბაზაზე თითოეულ დარგში იქმნება უახლესი ნიმუშის ტექნიკის სასწავლო პოლიგონები. კადრების მომზადებისა და გადამზადების სახელმწიფო გეგმის ფარგლებში ინერგება დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების სახელშეკრულებო ურთიერთობა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, აგრეთვე სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან.

მოწონეს მთავრობის მიერ შემუშავებული წინადადებანი 1987 წლიდან სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს ყველა გაერთიანებისა და საწარმოს სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანის შესახებ. საწარმოო გაერთიანება „ავტოვაზის“ მიერ შეძენილი გამოცდილების გათვალისწინებით დასახულია განხორციელდეს მართვის ეკონომიკური მეთოდების სრულყოფის, დაგეგმვის ორგანიზაციის გაუმჯობესების, გაერთიანებათა და საწარმოთა უფლებების, დამოუკიდებლობის გაფართოებისა და პასუხისმგებლობის გაზრდის ღონისძიებათა კომპლექსი. მხედველობაშია ის, რომ წარმოების რეკონსტრუქცია, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა სამუშაოების განხორციელება იმპორტული მოწყობილობისა და მასალების გამოყენებით შესრულდება შრომითი კოლექტივების მიერ გამომუშავებული საკუთარი სავალუტო სახსრების ხარჯზე. ამასთან იგეგმება სოციალისტურ ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირურთიერთობის პრიორიტეტული განვითარება.

მშრომელთა მრავალ სურვილთან დაკავშირებით - განხილული და მოწონებულია პერეფუნთუშეულისა და მაკარონეულის ხარისხის გაუმჯობესების წინადადებანი. გათვალისწინებულია 1990 წლისათვის გაორკეცდეს ხორცლის პურისა და უმაღლესი ხარისხის ქვავის ფქვილის გამოშვება რძის პროდუქტების, ფერმენტული და სხვა პრეპარატების გამოყენებით, რის შედეგადაც გაიზრდება ამ ნაწარმის ასორტიმენტობა და გაუმჯობესდება ხარისხი. პურსაცხობი საწარმოების მუშაკთა შრომის სტიმულირების მიზნით მომავალი წლის დამდეგიდან მათთვის შემოღებული იქნება ახალი სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები, აგრეთვე გაიზრდება ღამის დროს მუშაობისათვის სარფის ოდენობა.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თვითმმართველობის საწყისების შემდგომ განმტკიცებას, პოლიტბიუროს განხილა ქალაქად და სოფლად მოსახლეობის თვითმოქმედების მრავალფეროვანი ფორმების განვითარების, მათი საზოგადოებრივად სასარგებლო პოტენციალის უკეთ გამოყენების შომწიფებული საკითხები. ყურადღება დაეთმო იმას, რომ საჭიროა გაიზარდოს მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილას საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების ავტორიტეტი და გაძლიერდეს გავლენა, რომლებმაც კიდევ უფრო აქტიურად უნდა ჩაებან მოსახლეობა ადგილობრივი ხასიათის ამოცანათა გადაწყვეტაში. ითქვა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების დამოუკიდებლობისა და ინიციატივის განვითარებას, მათი მატერიალური და ფინანსური ბაზის განმტკიცებას. განისაზღვრა საცხოვრებელ ადგილას მოქმედ პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის გარდაქმნის მიმართულებანი, რომელთა მუშაობაში მონაწილეობა თითოეულმა კომუნისტმა უნდა მიიჩნიოს საწესდებო მოვალეობათა შესრულების განუყოფელ ნაწილად. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი შესაძლებლობანი აქვს ჩვენს საზოგადოებრიობას ქალაქების, სოფლებისა და სხვა დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისათვის ბრძოლაში.

პოლიტბიურომ განიხილა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შემუშავებული წინადადებანი ქალთა საბჭოების შექმნის შესახებ. მხედველობაშია ის, რომ ქვეყანაში შეიქმნას ქალთა საბჭოების ფართო სისტემა, რომელთა საფუძველს შეადგენენ ქალთა საბჭოები შრომითს კოლექტივებში და საცხოვრებელ ადგილას. მთ საქმიანობას საფუძვლად დაიდება ქალთა საზოგადოებრიობის შემოქმედებითი ინიციატივა და დამოუკიდებლობა საწარმოო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში, სახელმწიფოს და საზოგადოების საქმეთა მართვაში, სოციალური და სხვა საკითხების გადაწყვეტაში. ჩვენი ქვეყნის ქალთა ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ამოცანაა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქალთა საერთაშორისო მოძრაობაში, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლაში.

მოიწონეს ამა წლის 14-15 ოქტომბერს ბუქარესტში გამართული ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტის მორიგი სხდომის შედეგები, პოლიტბიუროს „ბაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის შეხვედრაზე სსრ კავშირის პოზიციას მთლიანად დაუჭირეს მხარი მოკავშირე სოციალისტურმა სახელმწიფოებმა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ შექმნილ სიტუაციაში საჭიროა მოძმე ქვეყნებმა გააძლიერონ ერთობლივი მეცადინეობა ბირთვული განიარაღებისათვის, საერთაშორისო უშიშროებისა და მშვიდობის ყოვლისმომცველი სისტემის შექმნისათვის ბრძოლაში.

განიხილა რა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ამხანაგ ნ. ი. რიჟკოვის ოფიციალური მეგობრული ვიზიტის შედეგები, პოლიტბიუროომ მოიწონა პოლონეთის ხელმძღვანელებთან მის მიერ გამართული მოლაპარაკება. რომლის შედეგად ახალ იმპულსს იძენს ორი ქვეყნის მრავალმხრივი ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა. ითქვა, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საწარმოების, გაერთიანებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ეკონომიკური ურთიერთმოქმედების ახალი, პროგრესული ფორმების, პირდაპირი კავშირურთიერთობის განვითარებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს აგრეთვე სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობის განვითარების, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის განმტკიცების, ჩვენს პლანეტაზე მშვიდობის უზრუნველყოფის ზოგიერთი სხვა საკითხი.



24 ოქტომბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოლაპარაკება კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტთან კიმ ირ სენთან, რომელიც სსრ კავშირში იმყოფება მეგობრულ ვიზიტად.

მ. ს. გორბაჩოვმა და კიმ ირ სენმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა კავშირ-კორეის ურთიერთობის განვითარების საკითხებზე. გამოითქვა კმაყოფილება პარტიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ დარგებში ამ ურთიერთობის დინამიკური განვითარების გამო. აღინიშნა, რომ არსებობს თანამშრომლობის ყველა სფეროში ორმხრივი კავშირურთიერთობის შემდგომი გაღრმავების შესაძლებლობა. ხაზი გაესვა საბჭოთა კავშირ-კორეის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დიდ მნიშვნელობას, დადასტურდა მზადყოფნა, რომ კვლავაც ყოველნაირად განვითარონ და სრულყონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და კორეის შრომის პარტიის, სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობა მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე.

კიმ ირ სენმა მ. ს. გორბაჩოვს გააცნო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევები კორეის შრომის პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, კორეის ნახევარკუნძულზე დაძაბულობის შენელებისა და სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

მ. ს. გორბაჩოვმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ შრომობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

მსოფლიოს თანამედროვე მდგომარეობის განხილვისას ორივე ხელმძღვანელმა აღნიშნა დიდი მნიშვნელობა, რომელსაც იძენს სოციალისტური ქვეყნების, მთელი პროგრესული ძალების თანამოქმედება ომის საშიშროების, იმპერიალიზმის აგრესიული ზრახვების წინააღმდეგ, მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის ბრძოლაში.

კიმ ირ სენმა მთლიანად დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირის მიერ საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის შეხვედრაზე დაკავებულ კონსტრუქციულ პოზიციას, რომელიც ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის, საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების ისტორიული გარდატეხის უნიკალურ შანსს ქმნის.

დაუთმეს რა განსაკუთრებული ყურადღება აზიაში არსებულ სიტუაციას, ორი პარტიის ხელმძღვანელებმა გამოთქვეს სერიოზული შეშფოთება იმის გამო, რომ რეგიონში იმპერიალიზმისა და მილიტარიზმის აგრესიული ძალების მოქმედების შედეგად მატულობს დაძაბულობა. ამ პირობებში, მხარეების რწმენით დიდ მნიშვნელობას იძენს აზიის მთელი პროგრესული ძალების თანამოქმედება უშიშროების უზრუნველყოფის, კონტინენტზე ფართო, ურთიერთხელსაყრელი, ნამდვილად თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარების მიზნით.

მორიგეულ აღმოსავლეთში და მთლიანად აზიაში უშიშროების სისტემის ფორმირების განუყოფელი კომპონენტია დაძაბულობის შენელება და ვითარების მოწესრიგება კორეის ნახევარკუნძულზე, კორეის საკითხის უსწრაფესი გადაწყვეტა. საბჭოთა კავშირი მთლიანად უჭერს მხარს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მეცადინეობას, ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის, საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების ისტორიული გარდატეხის უნიკალურ შანსს ქმნის.

ორივე მხარეს მიაჩნია, რომ ამ კეთილშობილური მიზნების განხორციელების ინტერესებს სავსებით შეესაბამება ახალი საბჭოთა წინადადებები აზიაში საშუალო სიშორის რაკეტების საკითხზე, რომლებიც საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის შეხვედრის დროს იქნა წამოყენებული.

მოლაპარაკებამ თმილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა, ცხადყო, რომ ორი ძმამე პარტია ერთნაირად უდგება თანამედროვე მსოფლიო განვითარების ძირეულ საკითხებს.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ა. მედვედევი, სსრ კავშირის ელჩი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ნ. მ. შუბნიკოვი.

კორეის მხრივ — კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ხო დამი, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი კიმ ენ ნამი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კვონ ხი გენი.

* * *

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართეს კიმ ირ სენის პატივსაცემად.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელთან ერთად იყვნენ მისი თანმხლები პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი.

საბჭოთა კავშირის მხრივ ესწრებოდნენ ამხანაგები მ. ს. გორბაჩოვი, ჰ. ა. ალიევი, ა. ა. გრომიკო, ი. კ. ლიგაჩოვი, ნ. ი. რიჟკოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, ვ. ვ. ჩებრიკოვი, ვ. ი. დოლგიხი, ბ. ნ. ელცინი, ნ. ვ. ტალიზინი, ა. პ. ბირიუკოვი, ა. თ. დობრინინი, მ. ვ. ზიმიანინი, ვ. ა. მედვედევი, გ. პ. რაზუმოვსკი, ი. ვ. კაპიტონოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

სადილის დროს, რომელშაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ამხანაგებმა მ. ს. გორბაჩოვმა და კიმ ირ სენმა წარმოთქვეს სტუმარი, რომლებიც დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს და ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. (საკდინი).

სურათზე: მოლაპარაკების დაწყების წინ.

სასლეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ზოგავენ რესურსებს

ვაფლიანის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის კოლექტივი მიმდინარე წლის დამდეგიდან მოწინავეთა რიგებშია. სრულდება როგორც მადნის ამოღების, ისე მისი გამდიდრების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, მატერიალური რესურსების დაზოგვის სახელმწიფო დავალებები.

კომბინატის კოლექტივის გადაწყვეტილებაა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის შეასრულოს მეთორმეტე ხუთწლედის ორი წლის გეგმა, 2,5 პროცენტით გაზარდოს შრომის ნაყოფიერება დავალებასთან შედარებით, 1,8 პროცენტით შეამციროს სამუშაოთა თვითღირებულება და დაზოგოს 230 ათასი მანეთის მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული მასალები.

ვ. დევიძე,
„კომუნისტის“ კორ.

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა კიმ ირ სენს

24 ოქტომბერს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს კიმ ირ სენს.

განიხილეს ორი მოძმე პარტიისა და ქვეყნის თანამშრომლობის განვითარებისა და გაღრმავების ზოგიერთი საკითხი. გაიმართა აზრთა გაზიარება თანამედროვე საერთაშორისო ვითარების მთელ რიგ აქტუალურ პრობლემებზე.

საუბარი გულთბილობის, მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა.

კიმ ირ სენმა გადასცა მ. ს. გორბაჩოვს მიწვევა ესტუმროს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას. მიწვევას მადლობით დათანხმდნენ. (საკდინი).

მოლაპარაკება კრემლში

შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

22 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტებისა და პარტიის საოლქო კომიტეტების პირველი მდივნების დიდ ჯგუფს, რომლებიც მონაწილეობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობაში.

გაიმართა საფუძვლიანი საუბარი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის ბრძოლის პრობლემებზე, იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს გარდაქმნა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, როგორ ხორციელდება სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი. შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ პარტიის მიერ აღებულ გარდაქმნის კურსს, მის თანამიმდევრულ და კონსტრუქციულ საგარეო პოლიტიკას მთლიანად უჭერს მხარს საბჭოთა ხალხი.

აზრთა გაზიარებაში მონაწილეობდნენ უკრაინის კომპარტიის ნინპოპეტროვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გ. ბოიკო, სკკპ ომსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ს. ი. მანიაკინი, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. კ. პუგო, სკკპ ვოლგოგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. კალაშნიკოვი, სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კ. მესსიაცი, უკრაინის კომპარტიის ხარკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მისნიჩენკო, სხვა ამხანაგები.

შეხვედრაზე გამოვიდა მ. ს. გორბაჩოვი.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ გარდაქმნა განუხრელად იკრებს ძალას. იგი პარტიული კომიტეტებს, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების საქმიანობის, მილიონობით ადამიანის დაძაბული შრომის განმსაზღვრელი გეზი გახდა. მთელი საზოგადოება, მთელი მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება მოძრაობისა და განახლების გზას ადგას. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მორალური ატმოსფეროს გაჯანსაღებას, შრომელთა მისწრაფებას პირადი წვლილი შეიტანონ წარმოების, ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში, მათს შეურიგებლობას ნაკლოვანებებისადმი, სოციალისტური მორალისა და სოციალური სამართლიანობის მოთხოვნებისაგან ყოველგვარი გადახრისადმი.

ქვეყანაში ფართოვდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების, მეურნეობის ახალი მეთოდების დანერგვის, შრომითი კოლექტივების ინიციატივისა და დამოუკიდებლობის ფართო განვითარების საფუძველზე ეკონომიკის ყველა დარგის გარდაქმნის მასშტაბი. ეს უკვე დღეს იძლევა საგრძნობ პოზიტიურ შედეგებს, ქმნის შემდგომი დაჩქარებული განვითარების პირობებს. ამ პირობებში უაღრესად საჭიროა, რომ თითოეულ რაიონში, ყოველ საწარმოში არ დაელოდონ მითითებებს და პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე გაბედულად გადაჭრან საკითხები, რომლებსაც ცხოვრება წამოჭრის.

პარტიის მთელი პოლიტიკა ხორციელდება ხალხის ინტერესებისათვის, მისი კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ჯერ კიდევ საგეგმო და სამეურნეო ორგანოებს ყველა დონეზე როდი აქვთ შეგნებული, თუ რაოდენ საჭიროა საქმის სწრაფი გაუმჯობესება სოციალურ სფეროში, ამისათვის არსებული სახსრებისა და შესაძლებლობების გამოყენება. პარტიული და საბჭოთა ორგანოების ამოცანაა დაძლიონ ზოზინი, მიაღწიონ, რომ სამინისტროებისა და უწყებების ყურადღება მტკიცედ შემობრუნდეს მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისაკენ.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, ფართო საჯაროობის შემდგომი განვითარებისათვის გამიზნულ პარტიის კურსს. როგორც ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, ძირფესვიანად უნდა აღმოვფხვრათ ყოველივე, რაც ხელს უშლიდა და უშლის დემოკრატიზაციის განვითარებას საზოგადოების სხვადასხვა სფეროში, საბჭოთა დემოკრატიის სისტემა უფრო დინამიკური და ქმედითი გავხადოთ, ყოველმხრივ უნდა დავუჭიროთ მხარი ინიციატივიან ადამიანებს, რომლებიც ახალ იდეებსა და წინადადებებს აყენებენ.

გამოსვლებში აღინიშნა: უნდა მივაღწიოთ, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში, მართვაში მაქსიმალურად ჩავაბათ ყველა მშრომელი, მთელი ხალხი. განსაკუთრებით დიდია ამ მხრივ სახალხო დეპუტატთა საბჭოების, პროფესიული კავშირების, ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის როლი. შეხვედრაზე განიხილეს კომკავშირის საქმიანობის გააქტიურების საკითხი.

გარდაქმნაში მაგალითს უნდა იძლეოდეს და იძლევა კიდეც პარტია. დღეს წინა პლანზეა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების ძირეული გაუმჯობესება. აქ მთავარია მივაღწიოთ, რომ პარტიული ორგანოები სიტყვით კი არა, საქმით გახდნენ პოლიტიკური ხელმძღვანელობის ორგანოები. ამისათვის ძირფესვიანად უნდა აღმოვფხვრათ სამეურნეო, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მაგივრობის გაწევის პრაქტიკა, გავზარდოთ მათი დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობა, განვთავისუფლდეთ პოლიტიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში ტექნოკრატიული მიდგომისაგან.

პარტიული მუშაობის მთავარი ობიექტია ადამიანები, გარდაქმნის მთავარი ფაქტორია ადამიანის ფაქტორი. ორგანიზატორული და იდეოლოგიური საქმიანობა ისე უნდა წარემართოთ, რომ იგი „მუშაობდეს“ ორა ანგარიშგებლობისათვის, არამედ ადამიანების აქტიურობის განვითარების, მათი საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის. პარტიული კომიტეტები მოწოდებული არიან გასაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ყოველივე იმის სოციალურ და პოლიტიკურ შედეგებს, რაც კეთდება საზოგადოებაში, შრომითს კოლექტივებში. მთელი გარდაქმნის წამყვანი საკითხია საკადრო საკითხი. კიდევ ბევრი რამ უნდა ვიღონოთ, რათა ყველა უბანზე იმყოფებოდნენ ხელმძღვანელები, რომელთაც ძალუძთ ოტვირთონ მთელი პასუხისმგებლობა, დადაჭრან საკითხები დროის სულისკვეთებით.

მ. ს. გორბაჩოვმა გააცნო შეხვედრის მონაწილეებს რეიკიავიკის მოლაპარაკების შედეგები.

კომუნისტურ პარტიას საკმაოდ აქვს პოლიტიკური ვაჟკაცობა, ისტორიული გამოცდილება და სიმწიფე საზოგადოებრივი ცხოვრების რეალური პროცესების შეფასებაში. ცენტრალური კომიტეტი გაბედულად იღებს ახალ გადაწყვეტებს. ეძიებს და პოულობს ახალ მიდგომას საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და აყვავებისათვის, მისი მშვიდობიანი ცხოვრებისათვის.

შეხვედრაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. პ. რაზუმოვსკი.

(საკდინი)

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! შეუპოვარი, კეთილსინდისიერი შრომით განვახორციელ ო თ სკკპ XXVII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან.

70

დიდი ოქტომბრის შესახვედრად

დაწინაურდნენ

დიდი ოქტომბრის 69 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა „ჭიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანების ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროსამმართველოს ის უბანი, რომელსაც მეოთხედი საუკუნეა შრომის წოთელი დროშის ორდენოსანი, რესპუბლიკის მრეწველობის დამსახურებული მუშაკი ს. სამყურაშვილი ხელმძღვანელობს.

შრომის ბრიგადული ანაზღაურების მეთოდით მომუშავე ამ კოლექტივმა გეგმის გადამეტებით ცხრა თვეში 13636 ტონა მადანი ამოიღო და 29,6 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

უბნის კოლექტივმა გადასინჯა ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება და გადაწყვიტა მიმდინარე ხუთწლედის ორი წლის გეგმა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის კი არა, ერთი თვით ადრე — კონსტიტუციის დღისათვის შეასრულოს. რაც შეეხება მიმდინარე წლის დავალებას, იგი 15 ნოემბრისათვის შესრულდება. შეჯიბრების ავანგარდში არიან გვერაბგამყვანები — სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ტყემალაძე, თ. გამეზარდაშვილი, ჰ. ცუცქირიძე, მბოლავი ვ. ხარშილაძე, მტვირთავი მანქანის მემანქანე ლ. ცუცქირიძე, სკრეპერის მემანქანე ჯ. მეგრელიშვილი, მებგეელები ფ. დარბაიძე, გ. ასანიძე და სხვები.

ჰ. შარიქაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ზოგავენ რესურსებს

ვაფლიანის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის კოლექტივი მიმდინარე წლის დამდეგიდან მოწინავეთა რიგებშია. სრულდება როგორც მადნის ამოღების, ისე მისი გამდიდრების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, მატერიალური რესურსების დაზოგვის სახელმწიფო დავალებები.

კომბინატის კოლექტივის გადაწყვეტილებაა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის შეასრულოს მეთორმეტე ხუთწლედის ორი წლის გეგმა, 2,5 პროცენტით გაზარდოს შრომის ნაყოფიერება დავალებასთან შედარებით, 1,8 პროცენტით შეამციროს სამუშაოთა თვითღირებულება და დაზოგოს 230 ათასი მანეთის მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული მასალები.

ვ. დევიძე,
„კომუნისტის“ კორ.

ᲙᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის 9 თვის

სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

1986 წლის იანვარ-სექტემბრის შედეგები მოწმობს, რომ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესი სულ უფრო იკრებს ძალას, რესპუბლიკაში პოზიტიური ძვრები ხდება ეკონომიკაში, სახალხო მეურნეობის ბევრი დარგის განვითარების მაჩვენებლები აღემატება გასული წლის შესაბამის ტემპსა და მიმდინარე წლის საგეგმო დავალებებს.

რესპუბლიკის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1986 წლის ცხრა თვე პროცენტობით 1985 წლის 9 თვესთან შედარებით
მრეწველობის პროდუქცია	104,7
ძირითადი ფონდების ამოქმედება სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე	109
სახელმწიფო კაპიტალდაბანდებანი	99,0
ყველა სახეობის ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვა (გაგზავნა)	103,2
ყველა სახეობის ტრანსპორტის მგზავრთბრუნვა	103,0
შრომის ნაყოფიერება:	
მრეწველობაში	103,8
მშენებლობაში	101,6
მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი	101,9
მუშა-მოსამსახურეთა სამუალო ფულადი ხელფასი	102,2
კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება	
საზოგადოებრივ მეურნეობაში	100,3
მოსახლეობისათვის მისაცემლები და შეღავათები	
მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან	106,6
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა	106,2
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა	104,7
საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე	105

სრულდება დავალებანი მეტი წილი საერთო ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით.

მრეწველობის პროდუქცია 1985 წლის ცხრა თვესთან შედარებით გაიზარდა 386,4 მილიონი მანეთით. გაუმჯობესდა უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმის, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ძირითადი ფონდების ამოქმედება სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე გადიდდა 86 მილიონი მანეთით.

შემუშავდა და ხორციელდება ისეთი დიდი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, რესურსების მომჭირნეობა, მართვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა მრეწველობაში, აგროსამრეწველო და სამშენებლო კომპლექსებში, ვაჭრობაში, ტრანსპორტზე, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში.

სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში გაძლიერდა მუშაობა მატერიალური რესურსების მომჭირნეობისათვის. შესრულებულია სათბობის, ელექტროენერგიისა და შავი ლითონების ნაგლინის ხარჯვის ნორმების შემცირების დავალებანი. დაიზოგა 90 ათას ტონამდე პირობითი სათბობი, 117 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 15 ათას ტონაზე მეტი შავი ლითონების ნაგლინი და 55 ათას კუბურ მეტრზე მეტი ხე-ტყის მასალები. გაიზარდა სახალხო მეურნეობაში მეორეული ნედლეულის მოქცევა. ამავე დროს ცალკეულმა სამინისტროებმა და უწყებებმა, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა და ორგანიზა

ხუთწლედის ნაბიჯები

(გაგრძელება)

ჩენა ნომენკლატურის, ხელშეკრულებებით პროდუქციის მიწოდების გეგმის შესრულებაში. სათანადო გაქანებით არ მიმდინარეობს შუშობა ნაწარმის ტექნიკური დონის, ხარისხისა და საიმედოობის გადიდებისათვის.

დაძაბული მდგომარეობაა ბევრი საწარმოო სიმძლავრის ამოქმედებასთან დაკავშირებით.

I. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დაიწყო ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ამ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების რეალიზაცია, რომელთა მიზანია ახალ თაობათა ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიების, დარგთაშორისი გამოყენების საკონსტრუქციო მასალების შექმნა და ათვისება.

მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლებას მოხმარდა 328,1 მილიონი მანეთი სახელმწიფო კაპიტალდაბანდებანი, ანუ 17 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის ცხრა თვეში.

მრეწველობაში დაინერგა 65 სამრეწველო რობოტი, დაიდგა 65 მექანიზებული ნაკადური და ავტომატური ხაზი. კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციაზე გადაყვანილია 66 უბანი და საამქრო. ათვისებულია 190 ახალი სახეობის პროდუქციის წარმოება და დაიწყო მისი გამოშვება.

საბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დარგებში გაფართოვდა რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენების მასშტაბები.

მეტალურგიული კომპლექსის საწარმოებში დაინერგა ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის ტექნოლოგია, გადიდდა უნაკერო და სამაგრი მილების ჯამოშვება.

ეკონომიური სახეობათა ლითონპროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდის გზით სახალხო მეურნეობაში დაიზოგა დაახლოებით 15 ათასი ტონა ლითონი.

მანქანათმშენებლობის კომპლექსში გაფართოვდა იმ პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების გამოყენება, რომლებსაც მიმართავენ ნაშტამპის წარმოებისას, ინერგებოდა დიდეფექტიანი მოწყობილობა მასალების პლაზმური დამუშავებისათვის.

იზრდებოდა პროგრესულ სახეობათა მანქანებისა და მოწყობილობის: მაგისტრალური ელმავლების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ავტომობილების, ელექტროძრავების, გამოთვლითი ტექნიკის ახალ საშუალებათა, რიცხვიერი პროგრამული მართვის ჩარხების წარმოება.

ამასთან ერთად არ არის უზრუნველყოფილი 0,25-დან 100 კილოვატამდე სიმძლავრის ცვლადი დენის ელექტროძრავების, დაბალვოლტიანი ელექტრული აპარატურის, კვების, რძისა და თევზის მრეწველობისათვის ტექნოლოგიური მოწყობილობისა და მისი სათადარიგო ნაწილების, ავტომობილების სათადარიგო ნაწილების გამოშვების დაგეგმილი მოცულობა.

ზოგიერთი სახეობის მრეწველობის პროდუქციას ჩამოერთვა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. მათ შორის არის თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ შუქსასიგნალო არმატურა, საწარმოო გაერთიანება „ელშავალმშენებლის“ ელექტროშტაბელერი, ბათუმის ხისდამშუშავებელი კომბინატის სამზარეულოს ავეჯი „მაქსი“ და სხვ.

იზრდება **სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება,** მაგრამ ბევრი მათგანის ხარისხი ჯერ კიდევ არ შეესაბამება მყიდველთა გაზრდილ მოთხოვნებს.

აგროსამრეწველო კომპლექსში 1987 წლის მოსავლის საშემოდგომო კულტურები 20 ოქტომბრისათვის ინტენსიური ტექნოლოგიებით დათესილია 9,2 ათას ჰექტარზე, ანუ დაკალების 63 პროცენტი.

მეცხოველეობაში ინერგებოდა სარძევე მიმართულების ძროხებისა და ღორების შენახვის ნაკადურ-საამქრული სისტემები, გამოიყენებოდა ბროილერთა ხორცის წარმოების სამრეწველო ტექნოლოგია.

კვების მრეწველობაში ინერგებოდა ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის კომპლექსურ მცირენარჩენად გადამუშავებას. მათ შორის არის შენახვისა და ჩამოსხმის ასეპტიკური პირობების გამოყენებით, აგრეთვე სულფიტაციისა და დესულფიტაციის მეთოდით წვენების, ორთქლწყლის გარემოში ღრმა ფიქსაციის მეთოდით მწვანე ბაიხო ჩაის წარმოების ტექნოლოგია; კვების პროდუქციის გამომუშავებისათვის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის სისხლის, მისი ფრაქციის გამოყენებისა და მემბრანული პროცესების გამოყენებით რძის ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგია.

დაინერგა ტკბილი ყურძნის ჭაჭის გადამუშავების ექსტრაქტორი და ჩაის ფოთლის საღნობი მოწყობილობის კომპლექსი. ათვისებულია უალკოჰოლო სასმელების წარმოება, რომელთა შენახვის ვადა გახანგრძლივებულია.

ამავე დროს მთლიანად არ შესრულებულა კონცენტრირებულ და არომატიზებულ საფუძველზე უალკოჰოლო სასმელების წარმოების, რძის მეორეული პროდუქტების გამოყენებით საკონდიტრო ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიის დანერგვის დავალებანი. იმის გამო, რომ მეურნეობებში არ არის ბევრი სასოფლო-სამეურნეო კულტურის დამუშავებისათვის განკუთვნილი მანქანების სისტემა, აგრეთვე პროგრესული მოწყობილობა კვების მრეწველობაში, არ არის უზრუნველყოფილი პროდუქციის დანაკარგების მკვეთრი შემცირება.

რკინიგზის **ტრანსპორტზე** გაიზარდა მატარებლის ბრუტოს საშუალო მასა.

საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტზე გადიდდა ტვირთბრუნვა, რომელიც შეასრულეს გათხევადებული და შეკუმშული გაზით მომუშავე ავტომობილებმა, მაგრამ ყველა ამ ტვირთზიდვის ხვედრითი წილი საერთო საავტომობილო გადაზიდვაში კვლავ უმნიშვნელოა.

სამშენებლო კომპლექსში ხორციელდებოდა ინდუსტრიალიზაციის დონის ამაღლების ღონისძიებანი. სამშენებლო მანქანათა პარკს შეემატა ახალი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა კომპლექსურ მექანიზაციას. მაგრამ მათი გამოყენება არადამაკმაყოფილებელია. ორსებითად არ გადიდებულა ძირითად სახეობათა მანქანების გამომუშავება, მათი სარემონტო დრო ნორმატიულს აღემატება.

საშენ მასალათა მრეწველობაში არ სრულდება საშუალო მარკის ცემენტის წარმოების დავალება.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმა არ შესრულებულა ღონისძიებათა რაოდენობის მიხედვით 91,5 პროცენტით და შესრულებულ დავალებათა საერთო მოცულობის მიხედვით 95,2 პროცენტით. ყველაზე მეტად ჩამორჩნენ ქიმიური და ჩარხსაშენებელი მრეწველობის სამინისტროების, საქმთავარენერგოს, საქთვეხმრეწგასაღების, სპეცტრანსსახკომის, მაგისტრალური ნავთობსადენების სამმართველოს საწარმოები.

II. მრეწველობა

მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 4,7 პროცენტით წლიური გეგმით გათვალისწინებულ 4,2 პროცენტთან შედარებით. მესამე კვარტალში წარმოების მატებამ შეადგინა 7,8 პროცენტი.

უპირატესი ტემპით ვითარდებოდა მანქანათმშენებლობა. სტაბილურად მუშაობს ხე-ტყის მრეწველობა, შავი და ფერადი მეტალურგია. იზრდებოდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის გამოშვება.

რესპუბლიკის მეტწილ სამინისტროებსა და უწყებებში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაუმჯობესდა მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება.

პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით. საგეგმო დავალება შეასრულეს ყველა ავტონომიურმა რესპუბლიკამ, ავტონომიურმა ოლქმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების, სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის სამრეწველო საწარმოებმა.

შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 3,8 პროცენტით, ამ გზით მიღებულია წარმოების მატების 84 პროცენტი. შრომის ნაყოფიერების ზრდა უსწრებდა საშუალო ხელფასის გადიდებას.

დაიწყო მუშაობა ორ-სმაენელან მუშაობის რეჟიმზე საწარმოთა გადასვლის ორგანიზაციისათვის.

წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს, სამინისტროებისა და უწყებების კომპლექსებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში მრეწველობის პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

საერთო-საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების კომპლექსები, საწარმოები	1986 წლის 9 თვე პროცენტებით 1985 წლის 9 თვესთან შედარებით: წარმოების მოცულობა	შრომის ნაყოფიერება	რეალიზაციის პროდუქციის 9 თვის გეგმის შესრულების პროცენტი
საბობ-ენერგეტიკული კომპლექსი	99,8	100,3	100,6
ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის	103	93	100,2
ნავთობის მრეწველობის	34	34	139
გაზის მრეწველობის	106	106	104
ქვანახშირის მრეწველობის	102	103	99
მეტალურგიული კომპლექსი	102	100,98	102
შავი მეტალურგიის	102	100,9	102
ფერადი მეტალურგიის	101	101	104
მანქანათმშენებლობის კომპლექსი	107	105	102
მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის	135	97	100,1
ელექტროტექნიკური მრეწველობის	108	111	102
ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის	103	103	96
ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემების	107	106	107
საავტომობილო მრეწველობის	107	103	100,5
სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის	99,9	108	111
მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის	124	147	78
სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის	105	108	103
მსუბუქი და კვების მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მანქანათმშენებლობის	109	111	100,2
ქიმიურ-სატყეო კომპლექსი	106	105	99,1
ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის	97	98	102
ქიმიური მრეწველობის	117	114	101
მინერალური სასუქების წარმოების	100,7	100,8	87
სამედიცინო და მიკრობიოლოგიური მრეწველობის	111	78	103
ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის	107	107	101
აგროსამრეწველო კომპლექსი	104	104	104
სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი	104	105	104
თევზის მეურნეობის	116	117	98
პუპროდუქტების	97	97	104
მსუბუქი მრეწველობის	106	107	99,6
საშენ მასალათა მრეწველობის	106	104	100,0
მშენებლობის	103	106	99,9
ადგილობრივი მრეწველობის	104	104	97

კიდევ უფრო განვითარდა **ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების** მრეწველობა. პროდუქციის რეალიზაციის გეგმისა და ზრდის ტემპის შესრულების მაჩვენებელს (საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობის ჩათვლით) ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქი და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქები	1986 წლის 9 თვე პროცენტებით 1985 წლის 9 თვესთან შედარებით: წარმოების მოცულობა	შრომის ნაყოფიერება	რეალიზაციის პროდუქციის 9 თვის გეგმის შესრულების პროცენტი
აფხაზეთის ასსრ	105	104	105
აჭარის ასსრ	100,9	100,2	103
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	107	105	103
ქალაქები:			
თბილისი	105	105	102
სოხუმი	115	115	107
ბათუმი	103	100,8	103
ცხინვალი	107	104	103
ქუთაისი	106	105	101
რუსთავი	106	106	97
ფოთი	110	109	100,3
გორი	102	102	102
ზუგდიდი	103	102	104
ჭიათურა	97	95	104
ტყიბული	106	106	104
გაგრა	109	106	104
წყალტუბო	106	101	106
ტყვარჩელი	103	103	103
ძარნეული	104	99	102

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებამ მთლიანად რესპუბლიკაში შეადგინა:

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოება	1986 წლის 9 თვეში: წარმოებულია	1986 წლის 9 თვე პროც. 1985 წლის 9 თვესთან შედარებით	1986 წ. 9 თვის გეგმის შესრულების პროცენტი
საათობ-ენერგეტიკული კომპლექსი			
ელექტროენერგია, მილიარდი კილოვატ-საათი	11,1	103	102
მეტალურგიული კომპლექსი			
ფოლადის მილები, ათასი ტონა	389	99,96	100,7
მანგანუმის მადანი, მილიონი ტონა	1,6	80	102
მანქანათმშენებლობის კომპლექსი			
ცვლადი დენის ელექტროძრავები, ათასი კილოვატი	85	105	100,8
ლითონსაჭრელი ჩარხები, მილიონი მანეთისა	32,6	100,6	106
მათ შორის რიცხვული პროგრამული მართვისა	4,4	109	157
ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	31,5	117	102
გამოთვლითი ტექნიკის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	34,7	105	109
მსუბუქი და კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა, მისი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	24,9	100,5	99,7
სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მილიონი მანეთისა	8,0	115	104
ქიმიურ-სატყეო კომპლექსი			
მინერალური სასუქები (100 პროცენტ მასაზრდოებელ ნივთიერებებზე გადაანგარიშებით) ათასი ტონა	59,2	60	43
ქიმიური ბოჭკოები და ძაფი, ათასი ტონა	26,8	132	96
სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები (კაპროლაქტამი), ათასი ტონა	20,7	119	84
სამასალე მერქანი (კოლმეურნეობების მიერ ხე-ტყის დამზადების გარდა), ათასი ფესმეტრი	266	100,8	100,8
ქაღალდი, ათასი ტონა	28,1	95	104
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და ნაწარმი, ათასი კუბ. მეტ.	1652	105	95
სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება			
შეკერილი ნაწარმი, მილიონი მანეთისა	460	116	109
ტრიკოტაჟის საცვალი და ზედა ტრიკოტაჟი, მილიონი ცალი	42,7	103	100,1
ფეხსაცმელი, მილიონი წყვილი	13,4	104	104
კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონელი, მილიონი მანეთისა	557	111	100,5
ფაიფურ-ქაშანურისა და მაიოლიკის ჭურჭელი, მილიონი მანეთისა	4,8	102	81
სორტული ჭურჭელი (მინისა და ბროლის), მილიონი მანეთისა	11,4	88	96
ფერადგამოსახულებიანი ტელევიზორები, ათასი ცალი	24,4	140	98
ავეჯი, მილიონი მანეთისა	119	106	101

ცხრა თვის გეგმის გადამეტებით წარმოებულია 245 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 36,8 ათასი ტონა მანგანუმის მადანი, 2,7 ათასი ტონა ფოლადის მილები, 1,9 მილიონი მანეთის ლითონსაჭრელი ჩარხები, 0,3 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანები, 2,8 მილიონი მანეთის გამოთვლითი ტექნიკის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები, 3493 ცალი მაგნიტური სადგური, 43 ცალი ჩასაძირი ელექტროძრავა. გადაჭარბებითაა შესრულებული ნავთობის, გაზის, თანამდევი გაზის მოპოვების, თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, სატვირთო ავტომობილების წარმოების გეგმები.

გადაჭარბებითაა შესრულებული სახალხო მოხმარების ბევრი საქონლის გამოშვების დავალება. გეგმის გადამეტებით წარმოებულია 475 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, 1.553 ათასი მანეთის ავეჯი, 56 ათასი ცალი ტრიკოტაჟის საცვალი და ზედა ტრიკოტაჟი, ბამბისა და შალის ქსოვილები და ბევრი სხვა პროდუქცია.

ამავე დროს მრეწველობის მუშაობაში ნაკლოვანებები ნელა აღმოიფხვრება. საწარმოო გაერთიანებებმა და საწარმოებმა ხელშეკრულებებისა და განწესების ნომენკლატურის მიხედვით გეგმას დააკლეს 106,1 მილიონი მანეთის პროდუქცია. სახელშეკრულებო დისციპლინა დაარღვია ყოველმა მეშვიდე საწარმომ. მთლიანად მრეწველობაში პროდუქციის რეალიზაციის გეგმა მიწოდების გათვალისწინებით შესრულებულია 98,5 პროცენტით. პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებაში მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს გაერთიანებები და საწარმოები, საწარმოო გაერთიანებები „ზოტი“, „ქუთაისის საავტომობილო ქარხანა“, რუსთავის მეტალურგიული და ფოლად-თუჯსამსხმელო, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები.

არ შესრულებულა მინერალური სასუქების, ქიმიური ბოჭკოს, კაპროლაქტამის, სინთეზური ამიაკის, ცვლადი დენის ელექტროძრავების (ცალობით) ავტომობილების სათადარიგო ნაწილების, დაბალი ძაბვის ელექტრული აპარატურის, ძალური ტრანსფორმატორების (ცალობით), ცემენტის, შიფერის, ასაწყობი რკინაბეტონის, კონსტრუქციებისა და დეტალების, რბილი სახურავული მასალების, უქსოვადი მასალების, აბრეშუმის ქსოვილების, ფაიფურ-ქაშანურისა და მაიოლიკის ჭურჭლის, მინისა და ბროლის სორტული ჭურჭლის, ფერადგამოსახულებიანი ტელევიზორების წარმოების გეგმა.

კვლავ არარიტმულად მუშაობენ მთელ რიგ დარგებში და, უწინარეს ყოვლისა, მანქანათმშენებლობაში, ჩარხმშენებლობის, ავტომობილმშენებლობის ცალკეულ სახეობათა პროდუქცია თვის უკანასკნელ დეკადებში გამოდის თვიური პროგრამის მესამედზე მეტი, რაც იწვევს პროდუქციის ხარისხის დაქვეითებას, ქმნის სიძნელეებს ტრანსპორტის მუშაობაში.

ბევრი გაერთიანება და საწარმო არაეფექტიანად იყენებს ძირითად ფონდებს.

მანქანათმშენებლობაში ლითონდამამუშავებელი მოწყობილობა ერთ ცვლაზე ცოტათი მეტხანს მუშაობს.

მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები ჩამორჩენით ითვისებდნენ ამოქმედებულ და რეკონსტრუირებულ სიმძლავრეებს, ვერ ასრულებდნენ მატერიალური რესურსების დაზოგვის, თვითღირებულების შემცირების დავალებებს. თითქმის ყოველმა მერვე საწარმოო გაერთიანებამ და საწარმომ ვერ შეასრულა გეგმა ფინანსური შედეგების მიხედვით.

III. აგროსამრეწველო კომპლექსი

აგროსამრეწველო კომპლექსში მთავრდება **მოსავლის აღების** სამუშაოები, მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება.

13 ოქტომბრისათვის მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურების მოსავალი აღებულია 140,2 ათას ჰექტარზე, ანუ გაჯოყოფილი ფართობის 96 პროცენტზე.

სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების აღებას ახასიათებს შემდეგი მონაცემები (ათასობით ჰექტარი):

სასოფლო-სამეურნეო კულტურების აღება	აღებულია 1986 წლის 13 ოქტომბრისათვის	პროცენტებით ნათესს ფართობთან შედარებით	პროცენტებით 1985 წლის ოქტომბრისათვის
მზესუმზირა	8,9	88	87
კარტოფილი	.14,1	75	85
ბოსტნეული	18,8	74	107

რესპუბლიკის მექარხლეები შეუდგნენ შაქრის ჭარხლის აღებას.

ჩქარი ტემპით მიმდინარეობს საკვების დამზადება. 12 ოქტომბრისათვის საკვებ ერთეულებზე გადაანგარიშებით დამზადდა 779 ათასი ტონა, ანუ გეგმის 93 პროცენტი; შარშან ამავე თარიღისათვის დამზადებული იყო 710,8 ათასი ტონა. ერთი პირობით სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე გაანგარიშებით მომარაგებულია 13,2 ცენტნერი საკვები ერთეული შარშანდელი წლის 11,8 ცენტნერის ნაცვლად. საკვების დამზადების გეგმას მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ ვანის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის, წალენჯიხის, წითელწყაროს რაიონებისა და ქ. ტყიბულის ზონის მეურნეობები.

საშემოდგომო კულტურები დაითესა 62,3 ათას ჰექტარზე. ჯერ კიდევ 1987 წლის მოსავლის უზრუნველყოფის საშემოდგომო საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა შესრულდა 34 პროცენტით; მზრალად მოიხნა 76,5 ათასი ჰექტარი ფართობი, რაც 14,7 ათასი ჰექტარით ნაკლებია შარშანდელ მაჩვენებელზე.

გადიდდა მარცვლეულის, განსაკუთრებით ღონიერი ჭიშის ხორბლისა და თავთუხის **სახელმწიფო შესყიდვა.** მარცვლეულის მოყიდვის გეგმა შეასრულეს რესპუბლიკის 23 რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

მემცენარეობის სხვა პროდუქტების შესყიდვის მონაცემები მოყვანილია ქვემოთ (ათასობით ტონა):

მემცენარეობის სხვა პროდუქტების შესყიდვა	შესყიდულია 1986 წლის 13 ოქტომბრისათვის	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი
კარტოფილი	134,3	73
ბოსტნეული	305,8	74
ხილი და კენკრა	252,8	56
ყურძენი	307,4	51
ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი	508,6	92

მთლიანად რესპუბლიკაში შესყიდულია გასული წლის შესაბამის პერიოდზე 2,6 ათასი ტონით (ანუ 2 პროცენტით) მეტი კარტოფილი, 2,5 ათასი ტონით (ანუ 1 პროცენტით) მეტი ბოსტნეული. ამავე დროს შესყიდულია ხილი და კენკრა 18,3 ათასი ტონით (ანუ 7 პროცენტით), ყურძენი — 93,5 ათასი ტონით (23 პროცენტით), და ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 58,7 ათასი ტონით (ანუ 10 პროცენტით) ნაკლები.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კარტოფილი ნაკლებია შესყიდული ახალციხის, დმანისის, ბოლნისის, გარდაბნის, წალკის რაიონების; ბოსტნეული — ადიგენის, ახალციხის, ბორჯომის, დუშეთის, ქარელის, კასპის, ლაგოდეხის, ხაშურის რაიონების; ხილი და კენკრა — ადიგენის, ბოლნისის, ყვარლის, მარნეულის, საგარეჯოს, სიღნაღის, თელავის, თეთრი წყაროს, თიანეთის, წითელწყაროს რაიონების მეურნეობებში.

გრძელდება სახელმწიფოსათვის მემცენარეობის პროდუქტების მიყიდვა.

ჯერ კიდევ მცირეა იმ პროდუქციის ხვედრითი წილი, რომელიც შესყიდვის წლიური მოცულობის ანგარიშში იყიდება საკოლმეურნეო ბაზრებში და სამომხმარებლო კოოპერაციაში.

შესრულდა საერთო-საკავშირო ფონდში კარტოფილისა და კურკოვანი ნაყოფის მიწოდების წლიური გეგმა, გრძელდება ბოსტნეულისა და თესლოვანი ნაყოფის გაგზავნა.

ცხრა თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში **ხორცის** წარმოება გაიზარდა 7 პროცენტით, **რძისა** — 5 პროცენტით, **კვერცხისა** — 9 პროცენტით. პროდუქციის წარმოების მატება ძირითადად მიღწეულია პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის გადიდების ხარჯზე. ერთი ძროხის საშუალო ნაწველი გადიდდა 6 პროცენტით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის საშუალო სადღეღამისო წონამატება, შესაბამისად, 1 და 11 პროცენტით, მოქცეულების საშუალო კვერცხიანობა — 4 პროცენტით. მიღებულია მეტი ნამატი, გაუმჯობესდა სულადობის დაცვა-შენახვა.

პირუტყვისა და ფრინველის სულადობამ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებში შეადგინა (ათასობით სული):

	1 ოქტომბრისათვის 1985 წ.	1986 წ.
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	680,3	689,7
მათ შორის ძროხა	184,7	182,0
ღორი	519,7	517,7
ცხვარი და თხა	1273,4	1297,5
ფრინველი	14182,0	13860,1

მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვას ყველა კატეგორიის მეურნეობებში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა	ცხრა თვე: 1986 წ.	1986 წ. პროცენტებით 1985 წელთან შედარებით	1986 წლის 9 თვის გეგმის შესრულების პროცენტი
პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალი წონით) ათასი ტონა	122,0	106,7	112,5
რძე, ათასი ტონა	250,5	99,7	111,4
კვერცხი, მილიონი ცალი	459,5	107,0	110,2

პირუტყვისა და ფრინველის, რძის, კვერცხის შესყიდვის ცხრა თვის გეგმა შეასრულა რესპუბლიკის ყველა რაიონმა გარდა შემდეგი რაიონების მეურნეობებისა: ჯავისა და ხელვაჩაურისამ — რძის, ასპინძის, ვანის, დმანისის, ყვარლის, საჩხერისამ — კვერცხის, მახარაძის რაიონისამ — რძისა და კვერცხის.

აგროსამრეწველო კომპლექსის **კვების დარგების** მუშაკებმა ძირითადად უზრუნველყვეს სასურსათო პროდუქციის გამოშვების დაგეგმილი მოცულობების შესრულება.

კვების მრეწველობის უმნიშვნელოვანეს სასურსათო პროდუქციის წარმოებამ მთლიანად რესპუბლიკაში შეადგინა:

კვების მრეწველობის პროდუქცია	წარმოებულია 1986 წლის 9 თვეში	1986 წ. 9 თვე პროც. 1985 წ. 9 თვესთან შედარებით	1986 წ. 9 თვის გეგმის შესრულების პროცენტი
ხორცი (სამრეწველო გამომუშავება) ათასი ტონა	70,9	105	111
ძეხვეული, ათასი ტონა	25,7	98	97
საკვები თევზეული, მათ შორის თევზის კონსერვი, ათასი ტონა	50,8	76	78
ერბო-კარაქი, ათასი ტონა	1,3	123	114
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით, ათასი ტონა	169	108	101
მარგარინის პროდუქცია, ათასი ტონა	28,0	106	101,9
მცენარეული ზეთი, ათასი ტონა	6,0	90	102
საკონდიტრო ნაწარმი, ათასი ტონა	45,7	100,1	100,5
კონსერვი, მილიონი პირობითი ქილა	511	111	114
მათ შორის ხილ-ბოსტნეულის	497	111	114
მინერალური წყალი, მილიონი ნახევარლიტრი	276	93	96
უალკოჰოლო სასმელი, მილიონი დეკალიტრი	10,7	112	99,3

მცირდება ლიქიორ-არყისა და ღვინის პროდუქციის წარმოება, რომლის გამოშვებამ გასული წლის ცხრა თვესთან შედარებით იკლო 32,5 პროცენტით.

მტაცედება აგროსამრეწველო კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შესრულდა ტრაქტორების, ძირითად სახეობათა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიწოდების გეგმა. ვერ შესრულდა მინერალური სასუქის მიწოდების გეგმა.

სოფლის მეურნეობას მიაწოდეს 2.365 ტრაქტორი, 196 მარცვალასალები, 273 სილოსასალები და საკვებასალები კომბაინი, 1.757 სატრაქტორო გუთანი, 1.176 სატრაქტორო კულტივატორი, 886 სატრაქტორო სათესელა, 590 სატრაქტორო სათობელა, 608 ნიადაგის სასუქის შესატანი მანქანა, 404 წნულ-ამღები.

სოფლის მეურნეობისათვის მინერალური სასუქის მიწოდებამ (100 პროცენტ მასაზრდოებელ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით) შეადგინა 181 ათასი ტონა, ანუ 4,6 ათასი ტონით ნაკლები, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ქიმიური საკვები დანამატების მიწოდებამ — 1 ათასი ტონა, ანუ 0,1 ათასი ტონით ნაკლები.

იმ დარგების განვითარების სახელმწიფო **კაპიტალურმა დაბანდებებმა,** რომლებიც რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის შესრულებას უზრუნველყოფენ, შეადგინა 469 მილიონი მანეთი.

ამ სახსრების ხარჯზე აშენდა 11,5 ათასი სული პირუტყვის შენახვა მეცხოველეობის სადგომები, მექანიზებული ფერმები და კომპლექსები, წელიწადში 5,5 მილიონი ფრთა სახორცე ფრინველისათვის განკუთვნილი მეფრინველეობის ფაბრიკები, 11,2 ათასი კუბური მეტრი ტევადობის სასილოსე და სათივედე ნაგებობები და სხვა ობიექტები.

საექსპლოატაციოდ გადაეცა 8,2 ათასი ჰექტარი სარწყავი და ამოშრობილი მიწა.

ამოქმედდა ყველის, მოუხდელი რძის პროდუქციის წარმოების, ჩაის ფოთლის გადამუშავების სიმძლავრენი.

საექსპლოატაციოდ გადაეცა კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის საცავები 9,1 ათასი ტონა პროდუქციის ერთდროული შენახვისათვის.

IV. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ცალკეულ სახეობათა ტრანსპორტის ტვირთზიდვასა და მგზავრთბრუნვას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

ცალკეულ სახეობათა ტრანსპორტის ტვირთზიდვა და მგზავრთბრუნვა	შესრულდა 1986 წ. 9 თვეში	1986 წ. 9 თვე პროცენტებით 1985 წ. 9 თვესთან შედარებით	1986 წ. 9 თვის გეგმის შესრულების პროცენტი
ტვირთზიდვა (ტვირთის გაგზავნა), მილიონი ტონა რკინიგზის ტრანსპორტი	30,1	98,8	99,7
საზღვაო ტრანსპორტი	6,6	97,0	97,1
მათ შორის საკაბოტაჟო ცურვაში	1,0	94,7	104,5
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი	138,7	104,4	101,2
ნავთობ-და ნავთობპროდუქტსადენები	0,6	102,7	113,4
მგზავრთბრუნვა, მილიონი მგზავრ-კილომეტრი რკინიგზის ტრანსპორტი	2765,6	98,3	98,1
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი	6402,8	104,7	102,1
საჰაერო ტრანსპორტი	3680,3	103,7	101,9

ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა გაიზარდა 10,2 პროცენტით.

რკინიგზის ტრანსპორტზე ცხრა თვეში გეგ

ᲩᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲜᲐᲯᲘᲯᲔᲑᲘ

(დასასრული)

გეგმის შესრულებას, ძირითადი ფონდებისა და სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების ამოქმედების ზრდის ტემპს სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

საერთო-საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების საწარმოები და ორგანიზაციები	ძირითადი ფონდების ამოქმედება: 1986 წლის ცხრა თვის პროცენტობით 1985 წლის ცხრა თვესთან შედარებით	ძირითადი ფონდების ამოქმედება: 1986 წლის ცხრა თვის გეგმის პროცენტებით	სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი: 1986 წლის ცხრა თვის პროცენტობით 1985 წლის ცხრა თვესთან შედარებით	სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი: 1986 წლის ცხრა თვის ლიმიტის პროცენტი
სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი				
ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის	132	102	126	125
ნავთობის მრეწველობის	127	57	103	86
გაზის მრეწველობის	167	6	60	54
ქვანახშირის მრეწველობის	83	68	90	87
მეტალურგიული კომპლექსი				
შავი მეტალურგიის	107	130	118	98
ფერადი მეტალურგიის	26	92	92	73
მანქანათაშენებელი კომპლექსი				
მძიმე და სატრანსპორტო მშენებლობის	13	100	52	79
ელექტროტექნიკური მრეწველობის	68	70	71	90
ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის	90	104	95	104
ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებებისა და მართვის სისტემების	322	93	204	90
საავტომობილო მრეწველობის	55	98	46	113
სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის	52	58	93	115
მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის	144	74	187	70
სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის	108	116	157	96
მსუბუქი და კვების მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მანქანათმშენებლობის	72	72	108	88
ქიმიურ-სატყეო კომპლექსი				
ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის	60	49	93	82
ქიმიური მრეწველობის	167	65	169	77
მინერალური სასუქის წარმოების	369	112	82	100
სამედიცინო და მიკრობიოლოგიური მრეწველობის	155	94	72	99
სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის	4-ჯერ	5-ჯერ	49	54
საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის	91	69	129	89
აგროსამრეწველო კომპლექსი				
სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი	156	54	111	72
საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი	115	70	92	89
თევზის მეურნეობის	110	88	350	101
სსრ კავშირის პუროპროდუქტების	197	100	196	106
საქართველოს სსრ პუროპროდუქტების	193	29	153	91
მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის	93	69	101	98
სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის	55	100	107	65
საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის	84	78	103	92
სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის	205	195	87	80
საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის	161	100	72	74

მთლიანად კაპიტალდაბანდებანი მანქანათმშენებლობის კომპლექსის განვითარებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოო აპარატის ტექნიკურ განახლებას, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 20 პროცენტით შემცირდა.

მწყობრში ჩადგა გეგეჭკორის ოპტიკურ-მექანიკური ქარხანა, მარადდა-ახალქალაქის რკინიგზის მაგისტრალი, სოხუმის ბეჭედვითი სიტყვის სახლი, გეგეჭკორის სტადმა, თბილისისა და ახასთუმნის სამაგირო ტრანსპორტი, გადიდდა რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტში“ ამონიუმის სულფატისა და კაპროლაქტამის, ქუთაისის ბრეშუმის გაერთიანების ვანის ფილიალში საქსოვი დაზგების დადგმის სიმძლავრეები.

მაგრამ სახელმწიფო გეგმის ნომენკლატურის **ობიექტების ამოქმედების** იანვარ სექტემბრის გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა. საწარმოო დანიშნულების ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა ვერ უზრუნველყვეს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა, სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ გამსახკომმა, საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტმა.

შესრულებულია **ისეთ უმნიშვნელოვანეს სიმძლავრეთა ამოქმედების** გეგმა, როგორიც არის საზვერ-საექსპლოატაციო ბურღვის ჯაბურღილები, მინერალური სასუქების, კაპროლაქტამის წარმოების, საფეიერო დაზგების დადგმის, მაცივრებისა და ნავთობსადენების ამოქმედების სიმძლავრეები.

სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების მიერ შესრულებულ **საიჯარო სამუშაოთა მოცულობა** გაიზარდა 2 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — 1,6 პროცენტით.

სამშენებლო კომპლექსის სამინისტროებში საიჯარო-სამუშაოთა მოცულობა შემცირდა 1 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 1,1 პროცენტით. საიჯარო სამუშაოთა დაწესებული მოცულობის შესრულებამ შეადგინა 98,8 პროცენტი. წარმატებით შეასრულეს გეგმა სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“, №12 „ხიდმშენის“ ტრესტებმა და „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველომ, სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროსა და საქმთავარმონტაჟსპეცმშენის საწარმოებმა. გეგმა ვერ შეასრულა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ.

საიჯარო სამუშაოთა მოცულობა გეგმაზე მეტია სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროების საწარმოებსა და ორგანიზაციებში. რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქაგრომშენმა“ საიჯარო სამუშაოთა მოცულობა 102 პროცენტით შეასრულა.

სამშენებლო სამინისტროებმა მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს თავი ვერ მოუყარეს ასამუშავებელ ობიექტებზე, რაც ამოქმედების გეგმის შეუსრულებლობის ერთ-ერთი მიზეზი იყო. ასამუშავებელი ობიექტების საგეგმო დავალებათა შესრულების დონე უფრო დაბალია, ვიდრე მთლიანად ყველა ობიექტის მიხედვით.

საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციათა დაახლოებით ნახევარმა ვერ შეასრულა მოგების გეგმა.

გასული წლის ცხრა თვესთან შედარებით შრომის ნაყოფიერების ზრდის უფრო სწრაფი ტემპის მიუხედავად, უკანასკნელ თვეებში ხდება მისი შენელება.

VI. სოციალური განვითარება და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება

ეკონომიკის ზრდის საფუძველზე ხორციელდება სკკპ XXVII ყრილობის მიერ მიღებული სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამა.

მუშა-მოსამსახურეთა რიცხვმა საშუალოდ ცხრა თვეში შეადგინა 2175 ათასი.

შრომის ანაზღაურება გაიზარდა. სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიურმა ფულადმა ხელფასმა შეადგინა 169,5 მანეთი გასული წლის შესაბამისი პერიოდის 165,8 მანეთთან შედარებით. კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება 0,3 პროცენტით გაიზარდა.

დამთავრდა საშუალო და უფროსი კლასების მასწავლებელთა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საშუალო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების მასწავლებელთა, საწარმო სწავლების ოსტატთა, ხელმძღვანელ და სხვა პედაგოგიურ მუშაკთა ხელფასის განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების გადიდება.

ხორციელდება მუშაობა მთელი რიგი დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მუშაკთა, მრეწველობის დარგის კონსტრუქტორთა და ტექნოლოგთა და ზოგიერთი სხვა კატეგორიის მუშაკთა შრომის ანაზღაურების სრულყოფისათვის, რომელიც დაიწყო 1986 წლის პირველ ნახევარში. აღნიშნული ღონისძიებები ხორციელდება შრომითი კოლექტივების მიერ გამომუშავებული სახსრების ხარჯზე.

შრომის ანაზღაურების გადიდებასა და მისი ორგანიზაციის სრულყოფასთან ერთად აქტიურდება ბრძოლა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ.

მოსახლეობამ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიიღო 1922 მილიონი მანეთის **მისაცემლები და შეღავათები**, ანუ 119 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ამ მისაცემლებისა და შეღავათების გათვალისწინებით მუშა-მოსამსახურეთა ხელფასმა თვეში შეადგინა 237 მანეთი.

გადიდდა სახელმწიფო ყოველთვიური დახმარება ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა ბავშვებისათვის, სოფლად მცხოვრებ და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ პენსიონერთა პენსიები. განხორციელდა ნოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მოსახლეობისათვის მისაცემლებისა და შეღავათების გადიდების სხვა ღონისძიებანი.

შშრომელთა ანაბრები შემნახველ სალაროებში ცხრა თვის მანძილზე გადიდდა 220 მილიონი მანეთით.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის **საცალო საქონელბრუნვის** მოცულობამ შეადგინა 4069,5 მილიონი მანეთი და 1985 წლის ცხრა თვესთან შედარებით გაიზარდა, შესადარ ფასებში, 228,8 მილიონი მანეთით.

საცალო საქონელბრუნვის გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში არ შესრულებულა. გეგმის შესრულება ვერ უზრუნველყვეს ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირმა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ, ავტოვაზტექმომსახურებამ, საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ მუშათა მომარაგების განყოფილებამ, „ზღვატრანსვაჭრობის“ ვაჭრობის სამმართველომ, მსუბუქი, ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის, საშენ მასალათა, თევზის მეურნეობის სამინისტროების საფირმო მაღაზიებმა.

სახელმწიფო კოოპერაციულ ვაჭრობაში **ცალკეული საქონლის გაყიდვის** ზრდას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

ცალკეული საქონელი	1986 წლის ცხრა თვე პროცენტობით 1985 წლის ცხრა თვესთან შედარებით
პურპროდუქტები	100
ხორცი და ხორცპროდუქტები	103
თევზი და თევზეული	105
ერბო-კარაქი	95
მცენარეული ზეთი	108
მარგარინის პროდუქცია	104
მოუხდელი რძის პროდუქცია	98
ყველი	96
კვერცხი	105
შაქარი	74
საკონდიტრო ნაწარმი	103
ჩაი	98
კარტოფილი	125
ბოსტნეული	107
ხილი და ციტრუსები	108
უალკოჰოლო სასმელები	102
მინერალური წყლები	114
ხილისა და ბოსტნეულის წვენები	156
ალკოჰოლიანი სასმელები	53
ტანსაცმელი, თეთრეული და ქსოვილები	98
ტრიკოტაჟის ნაწარმი	102
წინდები	93
ფეხსაცმელი	97
ფაიფურ-ჭაშანურის, მაიოლიკისა და მინის ჭურჭელი	108
საპონი და სინთეზური სარეცხი საშუალებანი	101
ავეჯი	106
მაცივრები და საყინავები	104
მათ შორის 200 კუბური დეციმეტრი და მეტი ტევადობის კამერით	140
სარეცხი მანქანები	100
ელექტრომტვერსასრუტები	100
საათები	93
ფოტოაპარატები	93
რადიომიმღები მოწყობილობანი	98
ტელევიზორები	102
მათ შორის ფერადგამოსახულებიანი	102
მაგნიტოფონები	102
ველოსიპედები და მოპედები	104
მოტოციკლები და მოტოროლერები	108
მსუბუქი ავტომობილები	117
დახერხილი ხე-ტყე	114
შიფერი	90
საბურული ფურცლოვანი ფოლადი და სხვა ლითონპროდუქცია	131

კოლექტიური მშრომელთა და მშრომელთა ინტენსიური განვითარებასთან ერთად მოსახლეობა გადიდებულ მოთხოვნას უყენებს ხეტყისა და საშენ მასალებს. მაგრამ ბევრ მათ სახეობაზე ეს მოთხოვნა მთლიანად ვერ კმაყოფილდა. მოსახლეობისათვის ადგილობრივი საშენი მასალების მიყიდვის წლიური დავალება ცხრა თვეში შესრულდა 17 პროცენტით, რკინა-ბეტონის ნაწარმისა და კონსტრუქციების რეალიზაციისა — 10 პროცენტით.

კვლავ ხორციელდებოდა ალუმინოფოლიანი სასმელების გაყიდვის შემცირების ღონისძიებანი. მოსახლეობ[illegible] ძალიან შემცირდა 71,4 მილიონი მა[illegible] ხმარების შემცირება ხელს უწყობ[illegible] ბას, შემცირდა მუშაობა გაცდ[illegible] ეების, საყოფაცხოვრებო ტ[illegible] შემთხვევებისაგან მოსახლეობის სიკვდილიანობამ.

ამავე დროს ჯერ კიდევ ნელა ხორციელდება ღონისძიებანი, რომ ღვინის საწარმოებს შეუცვალონ პროფილი და გამოუშვან სხვა პროდუქცია, გამოიყენონ სახალხო ნოხმარების საქონლის წარმოებისა და ფასიანი მომსახურების გადიდების, ამ საფუძველზე ფულადი შემოსავლისა და გასავლის შეწონასწორების ყველა შესაძლებლობა.

კომპლექსური პროგრამის შესაბამისად იზრდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება და მოსახლეობის ფასიანი მომსახურება. საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა გაიზარდა 4,7 პროცენტით წლიური გეგმის 6,1 პროცენტთან შედარებით. მათი ზრდის უპირატესი ტემპია მიღწეული სოფლად. გეგმა ვერ შეასრულეს საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საწარმოებმა და ორგანიზაციებმა და მეგობრობის ამხანაგობების სამეუნაოთა კოორდინაციის საბჭომ.

თუმცა გადიდდა საქონელბრუნვა და მომსახურება, მაგრამ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნა ზოგიერთ მის სახეობაზე მთლიანად ვერ კმაყოფილდება, კვლავინდებურად ჩაორჩება მოთხოვნილებებს ბევრი საქონლისა და მომსახურების ხარისხი.

საქართველოს სსრ ხსუბუქი მრეწველობის სამინისტროს წარმოების საერთო მოცულობაში დაბალია განსაკუთრებით მოდური ნაწარმის წილი—2,8 პროცენტი. სისტემატურად იწუნებენ და ხარისხს აკლებენ ამ სამინისტროს საწარმოთა მიერ გამოშვებული ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ქსოვილების 17,26 პროცენტს.

ხანგრძლივი დროის მანძილზე არ აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს ქუთაისის სამკერვალო, თბილისის ტრიკოტაჟის „ბახტრიონის“, თბილისის ტრიკოტაჟის „გლდანის“ საწარმოო გაერთიანებანი, თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკა, სადაც 1981-1986 წლებში დაწუნებულ იქნა გამოშვებული ტანსაცმლის შემოწმებული ოდენობის 25-დან 50 პროცენტამდე, 18-დან 20 პროცენტამდე უხარისხო ფეხსაცმელს უშვებდნენ თბილისის საწარმოო გაერთიანება „ისანი“ და ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატი.

გაზარდა **სამინაო მშენებლობის** მასშტაბი. მარტო სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე საექსპლოატაციოდ გადაეცა 608 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, რაც 29 ათასი კვადრატული მეტრით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. საცხოვრებელი სახლების მწყობრში ჩაყენების გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულდა. ამავე დროს დავალება ვერ შეასრულეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კაპიტალური მშენებლობის მთავარმა სამმართველომ, საწარმოო გაერთიანება ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ, „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველომ და ითელმა რიგმა სხვა საწარმოებმა.

სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები — 24,6 ათასი მოსწავლისათვის, პროფტექნიკური სასწავლებლები — 3 ათასი მოსწავლისათვის, სკოლამდელი დაწესებულებანი — 6,8 ათასი ბავშვისათვის, საავადმყოფოები — 831 ავადმყოფისათვის, ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებანი ცვლაში 2,5 ათასი პაციენტის მისაღებად. სასწავლო წლის დამდეგისათვის ყველა ასამოქმედებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მწყობრში ჩაყენება არ არის უზრუნველყოფილი. სკოლამდელი დაწესებულებების, საავადმყოფოების ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების ამოქმედების ცხრა თვის გეგმა შესრულებულია.

1 სექტემბრისათვის ზამთრის პირობებში ექსპლოატაციისათვის მზად იყო სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საბინაო ფონდის საერთო ფართობის 82,3 პროცენტი.

ხორციელდებოდა ქალაქების ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების, წყლის წყაროებში გაჭუჭყიანებული ჩამდინარე წყლის გადაგდების შემცირების, საბრუნი წყალმომარაგების გადიდების ღონისძიებანი. რამაც შესაძლებელი გახადა მარტო პირველ ნახევარწლეულში დედოფალაში დაზოგილიყო 50 ათას კუბურ მეტრზე მეტი ახალი წყალი.

თანმიმდევრულად ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის **რეფორმა.**

1986-87 სასწავლო წლის დამდეგისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობს 900 ათასამდე მოსწავლე, მათ შორის დაახლოებით 75 ათასი პირველად გახდა მოსწავლე, ამასთან თითქმის ყველა ექვსი წლისაა. საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სწავლობს 54 ათასზე მეტი კაცი, უმაღლეს სასწავლებლებში — 88 ათასზე მეტი კაცი. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მიღებულია 40 ათასზე მეტი კაცი.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის **მოსახლეობის** რიცხვმა 1986 წლის 1 ოქტომბრისათვის 5 263 ათასი შეადგინა.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

---

24 ოქტომბერი — **24 ოქტომბერს** თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა დანიის პრემიერ-მინისტრი პოულ შლუტერი მეუღლითურთ. იგი ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

გაემგზავრა დანიის პრემიერ-მინისტრი

საპატიო სტუმართან ერთად მოსკოვში გაემგზავრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. კ. გუსევი, სსრ კავშირის საგარეო და სრულფლებიანი ელჩი დანიაში ბ. ნ. პასტუხოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც თან ახლავან ქვეყანაში მოგზაურობის დროს.

დანიის, სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ თბილისის აეროდრომზე პრემიერ-მინისტრი გაიცალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. ე. ჩერქეზიამ მეუღლითურთ.

გამცილებელთა შორის იყვნენ აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ბ. დ. მახარაშვილი, ო. ვ. მელქაძე, რესპუბლიკის მთავრობის წევრები ვ. რ. ასათიანი, ნ. შ. ვასაძე, ი. ა. მენაღარიშვილი, ს. ტ. რიგვავა, გ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საინფორმაციო სააგენტოს დირექტორი ა. შ. იოსელიანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს უფროსი ზ. პ. მახარაძე, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ნ. მელაძე და სხვა ოფიციალური პირნი.

* * *

გამგზავრების წინ დანიის პრემიერ-მინისტრი პ. შლუტერი მეუღლითურთ და მისი თანმხლები პირები იყვნენ მცხეთაში, ეწვივნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, დაათვალიერეს მისი სასწავლო მეურნეობა.

(საქინფორმი).

კავკასიაში ბოტანიკისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერების დამაარსებელსა და პროპაგანდისტს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბოტანიკურ ბაღს 350 წელი შეუსრულდა. ამ მოვლენას მიეძღვნა საიუბილეო სხდომა, რომელიც 23 ოქტომბერს გაიმართა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

ბოტანიკური ბაღი: საუკუნეებში შემონახული ფლორის ისტორია

ბაღის კოლექტივის მოსალოცად საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის, ყველა მომძე მოკავშირე რესპუბლიკის მეცნიერები, სტუმრები ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, დასავლეთ ბერლინის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, ფინეთისა და საფრანგეთის მეცნიერები.

— ეს იუბილე ნამდვილი დღესასწაულია იმიტომ, რომ სამ-ნახევარი საუკუნეა ყვავის და ხარობს კავკასიაში უძველესი ბაღი, ამდენივე საუკუნეა უხვ მეცნიერულ ნაყოფს იძლევა ქართველ ბუნებისმეტყველთა მეგობრობა და თანამშრომლობა კოლეგებთან — როგორც ჩვენი თვალწუდენი ქვეყნის, ისე საზღვარგარეთის ბევრი ქვეყნის სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლებთან — თქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარემ გ. დ. მგელაძემ რომელმაც სხდომა გახსნა.

ბაღის მუშაკებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სასახელით მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე.

მოხსენება წაიკითხა ცენტრალური ბოტანიკური ბაღის დირექტორმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა მ. ა. გოგოლაშვილმა.

იუბილარებს მიუღოცეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ვ. დურმიშიძემ, სსრ კავშირის ბოტანიკური ბაღების საბჭოს თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. ნ. ანდრეევამ, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, ამ აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ი. მეტრეველმა, უკრაინისა და მოლდავეთის ბოტანიკური ბაღების რეგიონალური საბჭოს თავმჯდომარემ, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. მ. გროძინსკიმ და საზღვარგარეთელმა სტუმრებმა.

თბილისში საზეიმო სხდომის წინ გიმნაზიათა სსრ კავშირის ბოტანიკური ბაღების საბჭოს წარმომადგენელთა სამეცნიერო სესია, მისმა მონაწილეებმა მიიღეს „სსრ კავშირის ბოტანიკური ბაღების საბჭოს მიმართვა მთელი მსოფლიოს ბოტანიკური ბაღების თანამშრომლებისადმი“, რომელშიც მოუწოდებენ იბრძოლონ ქვეყნად მშვიდობისათვის. იგი წაიკითხეს სხდომაზე.

საზეიმო სხდომაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ვ. ი. ალავიძე, ნ. ა. ჭითანავა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. ნ. თავხელიძე.

(საქინფორმი).

სრულვყოთ ლექციური პროპაგანდა

ლექციური მუშაობის მიზანი ის არის, რომ დამაჯერებელი პროპაგანდა გავუწიოთ სოციალიზმის ისტორიულ მონაპოვრებს, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების მასშტაბურ ამოცანებსა და მათი გადაწყვეტის გზებს, წარმოვაჩინოთ მშვიდობის საბჭოთა პროგრამის განხორციელებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობა. ეს ხაზგასმით აღინიშნა საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობისა და სახალხო უნივერსიტეტების ცენტრალური საბჭოს პლენუმზე, რომელიც 22 ოქტომბერს გაიმართა მოსკოვში. მისმა მონაწილეებმა მთავარი ყურადღება დაუთმეს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისა და რეალიზაციისათვის საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციათა მუშაობის სრულყოფას.

საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის აკადემიკოს ნ. გ. ბასოვის მოხსენებაში, გამოსვლებში აღინიშნა, რომ პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელობით ხორციელდება ლექციური პროპაგანდის გარდაქმნა მისი ხარისხის ამაღლებისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. მიღებულია ზომები ისეთი დიდმნიშვნელოვანი მიმართულებებით საზოგადოების ორგანიზაციათა საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, როგორიც არის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, ბრძოლა რესურსების რაციონალური გამოყენებისა და პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, მართვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა და ბრძოლა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ, სამხედრო-პატრიოტული, ათეისტური აღზრდა.

პლენუმის მონაწილეებმა დასახეს პარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნების მიხედვით ლექციურ-პროპაგანდისტული მუშაობის შემდგომი სრულყოფის, მშრომელთა განათლებისა და მარქსისტულ-ლენინური აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

(საკდესი).

სრულყოფილ ლექციურ პროპაგანდას

სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა სოლქო საბჭოს სესიამ განიხილა ადგილობრივი საბჭოებისა და სამეურნეო ორგანოების ამოცანები 1986-1990 წლებში მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის საქმეში.

კომუნალური მომსახურეობა განსაკუთრებული საზრუნავია

მეთერთმეტე ხუთწლედში 22 მილიონ მანეთზე მეტი მოხმარდა სამხრეთ ოსეთის საბინაო და კომუნალური მეურნეობის განვითარებას.

მიმდინარე ხუთწლედში კიდევ უფრო ვრცელი პროგრამაა შესასრულებელი. წინა ხუთწლედთან შედარებით 1,2-ჯერ გაიზარდა კომუნალური მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრები.

განსაზღვრეს რა დასახული გეგმების განხორციელების ღონისძიებები, დეპუტატებმა ყურადღება გამახვილეს ნაკლოვანებებზე.

სესიამ არასაკმარისად ცნო ცხინვალის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს და რაიონული საბჭოების აღმასკომების, საოლქო აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების მუშაობა მოსახლეობის კომუნალური მომსახურებისათვის. საქმის ვითარების ძირეული გაუმჯობესებისათვის მათ დაევალათ განახორციელონ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი.

---

24 ოქტომბერი ● საქმესი იუწყება

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

სსრ კავშირის კეთილი ნება

მსოფლიო მხარს უჭერს საბჭოთა წინადადებებს

საბჭოთა კავშირმა რეიკიავიკის შეხვედრაზე შეიარაღების შემცირების შესახებ წამოყენებულ კონსტრუქციულსა და რადიკალურ წინადადებებს კეთილი ნების მაქსიმუმი ჩააქსოვა. სსრ კავშირს დღესაც არ მოუხსნია ეს წინადადებები და ამავე დროს გადაჭრით გმობს ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტულ, დესტრუქციულ პოზიციას, „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ პროგრამას, რომლის მეშვეობითაც სურს ვაშინგტონს მისცეს დასაბამი გამალებული შეიარაღების ახალ ეტაპს, ძირი გამოუთხაროს საყოველთაო უშიშროებას. სსრ კავშირი ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწოდებს ეძებოს პრობლემის გადაჭრა ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის, საერთაშორისო უშიშროების ისეთი ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის გზაზე, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ ომს, ბირთვულსაც და ჩვეულებრივსაც. ყოველივე ეს ლიტმოტივად გასდევს ფართო საერთაშორისო გამოხმაურებას საბჭოთა ტელევიზიით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლის გამო.

● ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ

სოფია. რეიკიავიკის შეხვედრას მთელ მსოფლიოში დიდ პოლიტიკურ მოვლენას უწოდებენ, და ახლა მით უფრო აშკარაა, რომ ბირთვული საფრთხის აღკვეთა რეალური და შესაძლებელია, წერს „რაბოტნიჩესკო დელო“. შეხვედრის შედეგად შესაძლებელი გახდა თვისებრივად ახალი ეტაპის მიღწევა ბირთვული იარაღის წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა კავშირი ბირთვული იარაღის შემცირებისა და შემდგომი ლიკვიდაციის მომხრეა, ილაშქრებს გამალებული შეიარაღების ახალი ეტაპის, კოსმოსში მისი გადატანის წინააღმდეგ. ამასთანავე სსრ კავშირი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მილიტარიზმთან დაკავშირებული წრეები, რომლებიც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ინტერესებს გამოხატავენ, ცდილობენ ხალხებს ჩაუბნონ მშვიდობისადმი მისწრაფება, შეაფერხონ განიარაღების პროცესი.

● ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ

პრაღა. სსრ კავშირის მტკიცე პოზიცია — და ეს ამაფიოდ განაცხადა მ. ს. გორბაჩოვმა — უზრუნ

მხატვარი დადის დედაქალაქში





ოთხივ ღია კარით...

აი უკვე მერამდენედ შეეგება შემოდგომის მზიანი ფერებით დამშვენებული თბილისი თავის დღეობას, ხელგაშლილი შეხვდა სასურველ სტუმრებს.

დღეს და ხვალ მრავალი საინტერესო და ლამაზი სანახაობა ელით თბილისელებსა და მათს სტუმრებს.

დღეს თბილისის ქუჩებში და მოედნებზე დილადახე გაიმართება ტრადიციული ბაზრობა „ოქროს შემოდგომა“, — რესპუბლიკის რაიონები დედაქალაქის ფერხთით გაშლიან ქართული მიწის ხვავსა და ბარაქას.

საინტერესო გამოფენებზე იწვევენ ხელოვნების მოყვარულთ თბილისის მხატვრის სახლი და ე. ახვლედიანის სახელობის საბავშვო ნახატების გალერეა.

დედაქალაქის ახალ, ნოდარ დუმბაძის სახელობის პროსპექტზე თავს მოიყრიან თუმორისტები — გაიმართება ხალასი, ჯანსაღი იუმორის საღამო, რომელს მთავარი პერსონაჟები ქართული ფოლკლორის, ჩვენი მწერლებისა და თავად ნ. დუმბაძისეულ ნაწარმოებთა გმირები იქნებიან.

თბილისის უბნებს შორის საფეხბურთო შეჯიბრებაში გამარჯვებული ორი გუნდის ფინალური შეხვედრაც დღეს გაიმართება. სპორტის სასახლეში მოსული ფეხბურთის მოყვარულნი უშუალო მოწმენი გახდებიან ამ საინტერესო პაექრობისა და პირველნი მიეულოცავენ პირველ ჩემპიონ უბანს ღირსეულ გამარჯვებას. ქალაქის ქუჩებსა და პარკებში მოეწყობა სახალხო სეირნობა და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებები.

ხვალ, 26 ოქტომბერს ზეიმი გაგრძელდება. დილის ათი საათიდან მეგობრობისა და ძმობის სახალხო დღესასწაული კვლავ აახმიანებს ქალაქის პარკებს, ქუჩებსა და მოედნებს. მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გაიმართება პოეზიის დღესასწაული; მეტეხის ახლოს, ძმობის მოედანზე კი თბილისის ახალ საპატიო მოქალაქეებს აირჩევენ.

სტუმრები ბებერ ნარიყალასაც ეწვევიან და რესტავრატორად კურთხევისა და ენთუზიასტ აქტივისტთა დაჯილდოების უჩვეულო ცერემონიალიც აქვე გაიმართება.

რიტუალების სასახლე ცხოვრების ბგას დაუღლაცავს კიდევ ერთ ბედნიერ წყვილს — აქ გაიმართება ახალ დაქორწინებულთა ზეიმი „ინტერნაციონალური ოჯახი“.

გაიმართება სახალხო სეირნობა რუსთაველის პროსპექტზე, ბარათაშვილისა და პუშკინის ქუჩებზე; ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის დღა ცის ქვეშ მუზეუმში მოეწყობა ხალხური შემოქმედების ზეიმი; იპოდრომზე გაიმართება შეჯიბრება ცხენოსნობაში.

საამოსო რესპუბლიკის მოედანზე მოეწყობა ახალგაზრდობის ზეიმი „თბილისი — ჩემი სიყვარული“ და ფოიერვერკი გვიანობამდე გასტანს. მოკლედ, ყველა ღონისძიებას ვერც კი ჩამოთვლიდ.

ასეთია „თბილისობა — 86“, რომელსაც თავის ოთხივ ღია კარით შეეგება საქართველოს დედაქალაქი.

ნ. ლურსმანაშვილი.

● ●

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი თ. ხუციშვილი.

„დაუგავა“, „გურია“ თუ?

ხუთი ტურიც და, პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი დამთავრდება. გუნდები გათამაშების ცხრილში ასეთი თანაშიმდევრობით არიან განლაგებული:

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დაუგავა“	**22**	**12**	**7**	**72-40**	**56**
„გურია“	**24**	**5**	**12**	**73-61**	**53**
ცსკა	22	9	10	55-33	53
„პამირი“	20	10	11	68-40	50
„როტორი“	21	6	14	67-50	48
ასკ „კარპატი“	19	10	12	62-47	48
„ლოკომოტ.“	18	11	12	57-43	47
„როსტსელმ.“	18	10	13	75-61	46
„დინამო“ ბთ	18	8	15	43-51	44
„კოლოსი“	16	11	14	41-43	43
„ფაკელი“	17	8	16	48-41	42
ასკ რ	15	11	15	52-43	41
„მეტალურგი“	16	8	17	54-49	40
„შინიკი“	14	14	13	36-33	40
„სპარტაკი“	14	12	15	55-55	40
„კუზბასი“	13	12	16	50-56	38
„ფახთაქორი“	14	8	19	51-63	36
„დინამო“ სტ	11	15	15	54-51	34
„ყუბანი“	11	13	17	34-44	34
„ალმა-ათა“	**11**	**12**	**18**	**37-48**	**34**
„ნისკრა“	**11**	**12**	**18**	**27-50**	**34**
ასკ ხბ	**11**	**11**	**19**	**45-56**	**33**
„ატლანტასი“	**8**	**10**	**23**	**36-68**	**26**
„ნისტრუ“	**5**	**8**	**28**	**26-92**	**18**

ტური ტურს მოსდევს და ლიდერთა ჯგუფის გუნდებს შორის უმაღლესი ლიგის საგზურებისათვის ბრძოლა სულ უფრო და უფრო მწვავდება. „დაუგავამ“ ორჯონიკიძის „სპარტაკთან“ წაგებით საკმაოდ გაირთულა მდგომარეობა, ვინაიდან მომდევნო ტურში (26 ოქტომბერს) სწორედ უმაღლესი ლიგის საგზურის ერთ-ერთ მაძიებელთან — „გურიასთან“ უწევს თამაში. ერთი სიტყვით, ამ ორი კოლექტივისთვის აღნიშნული მატჩის შედეგს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. დაწინაურებულთა სამეულში არიან მოსკოველი არმიელებიც და, ცხადია, ისინიც შეუპოვრად იბრძოლებენ წარმატებისათვის. ლიდერთა სამეულში გარკვეული კორექტივების შეტანის თეორიული შესაძლებლობა აქვთ „პამირს“, „როტორს“ და ასკ „კარპატს“. რაც შეეხება „გურიას“, მას „დაუგავასთან“ მატჩის შემდეგ ორი გასვლითი შეხვედრა ელის როსტოვში — აბიელთა გუნდთან (2 ნოემბერს) და კრასნოდარში — „ყუბანთან“ (6 ნოემბერს). ამას მოსდევს მატჩი მასპინძლად „ლოკომოტივთან“ (12 ნოემბერს), და ბოლოს შეხვედრა სტუმრად „ფაკელთან“ (15 ნოემბერს). ცხადია, ლანჩხუთელებისათვის ყველა შეხვედრა ძნელია, მაგრამ მთგან უძნელესი მაინც „დაუგავასთან“ იქნება, როგორც ერთპიროვნულ ლიდერთან, აგრეთვე „ყუბანთან“ — აუტსაიდერთა ზონაში მყოფ ერთ-ერთ კოლექტივთან.

ჯ. ენუქიძე.

სატურნირო ორბიტა

კლასიკური ჭიდაობა. ბუდაპეშტში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ათლეტების პირველი ორთაბრძოლები. საბჭოთა სპორტსმენთაგან საწყისი ეტაპის ორთაბრძოლების უმრავლესობა აშკარა უპირატესობით წარმართეს ბაქოელმა მ. ალაბეგოდიევმა (48 კგ-მდე წონა), ოსმა კელმა ტ. კალმოყლინმა (57 კგ), ლენინაკანელმა ლ. ჯუფლაკიანმა (68 კგ) და მინსკელმა ა. ფედორენკომ (100 კგ). ოღონდ ეგ არის, მახტელმა ს. ნასე